

**სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების (მიკრო ბიზნესი, მცირე ბიზნესი, ფიქსირებული გადასახადი) სამართლებრივი რეგლამენტაცია (ეწყობა თუ არა ხელი მცირე მეწარმეობის განვითარებას საქართველოში,- მოსაზრებები და წინადადებები საგადასახადო კოდექსის შესაბამის ინსტიტუტთან მიმართებაში)**

<sup>1,2</sup>ია ხარაზი, პროფესორი

<sup>1,3</sup>დავით ხობელია, პროფესორი

<sup>1</sup>საქართველოს დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი

<sup>2</sup>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<sup>3</sup>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**DOI:** <https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.21>

### **აბსტრაქტი**

საგადასახადო კოდექსში მისი მიღების შემდეგ საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა, რომელთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომები, შეხედულებები გააჩნიათ, როგორც მეწარმეთ, ასევე ექსპერტებსა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა გამომყენებელ პირებს, მათ შორის მეცნიერებსაც. ერთი სიტყვით, საგადასახადო კოდექსი და მასთან მიმართული ბევრი კანონქვემდებარე აქტი მუდმივი განსჯის საგანია. ერთი კი ცხადია, ყველასათვის მისაღებ და ყველაზე მორგებულ კანონს საკანონმდებლო ორგანო ვერ მიიღებს, მაგრამ ერთია: მიღებული სამართლებრივი აქტი ხალხის კეთილდღეობაზე, ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებებზე უნდა იყოს გათვლილი, მითუმეტეს თუ იგი საგადასახადო კანონმდებლობას ეხება. ეს ყველაფერი აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ საგადასახადო კოდექსში მისმა ნოვაციურმა ნორმებმა, რომლებიც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს რომ ეხებიან და ადრე მოქმედი საგადასახადო კოდექსისათვის უცნობი იყო, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით ამ ნორმების გამომყენებელ პირებს შორის. მაინც როგორ ნორმებთან გვაქვს საქმე, რამდენად მისაღებია იგი მეწარმეთათვის, რა მოგებას მოუტანს იგი ქვეყნის ბიუჯეტს? - აი ის ძირითადი და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც ამ სტატიის განხილვის თემად ვაქციეთ.

**საკვანძო სიტყვები:** მიკრო ბიზნესი; მცირე ბიზნესი; ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირი; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა; ბასსი.

## Abstract

Legal regulation of special taxation regimes (micro business, small business, fixed tax) (does it support the development of small entrepreneurship in Georgia - opinions and suggestions regarding the relevant institution of the tax code)

<sup>1,2</sup>Ia Kharazi, Professor

<sup>1,3</sup> Davit Khobelia, Professor

<sup>1</sup>Davit Aghmashenebeli University of Georgia

<sup>2</sup>Sukhumi State University

<sup>3</sup>Samtskhe-Javakheti State University

After adoption of Tax Code, many amendments were made, towards which there are different approaches and views from the side of entrepreneurs, experts and other users of tax legislation, including scientists. In short, the Tax Code and many of the by-laws attached to it are subject to constant judgment. One thing is clear, the legislative body cannot adopt the most suitable and acceptable law for everyone, but there is one thing: the adopted legal act should be aimed at the welfare of the people, beneficial changes for the country, especially if it concerns the tax legislation. We have mentioned all this here because innovative norms of Tax Code, which are related to special taxation regimes and were unknown to the previously valid Tax Code, have caused a lot of discussion, especially among those who use these norms. Anyway, what is the nature of these norms, how acceptable it is for entrepreneurs, what profit will it bring to the country's budget? - Here are the main and other relevant issues that we made the topic of discussion in this article.

**Key words:** microbusiness; Small business; fixed tax payer; inventory value;

საგადასახადო კოდექსში მისი მიღების შემდეგ საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა, რომელთა მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომები, შეხედულებები გააჩნიათ, როგორც მეწარმეთ, ასევე ექსპერტებსა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა გამომყენებელ პირებს, მათ შორის მეცნიერებსაც. ერთი სიტყვით საგადასახადო კოდექსი და მასთან მიბმული ბევრი კანონქვემდებარე აქტი მუდმივი განსჯის საგანია. ერთი კი ცხადია, ყველასათვის მისაღებ და ყველაზე მორგებულ კანონს საკანონმდებლო ორგანო ვერ მიიღებს, მაგრამ ერთია: მიღებული სამართლებრივი აქტი ხალხის კეთილდღეობაზე, ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებებზე უნდა იყოს გათვლილი, მითუმეტეს თუ იგი

საგადასახადო კანონმდებლობას ეხება. ეს ყველაფერი აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ საგადასახადო კოდექსში მისმა ნოვაციურმა ნორმებმა, რომლებიც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს ეხებიან და ადრე მოქმედი საგადასახადო კოდექსისათვის უცნობი იყო, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით ამ ნორმების გამომყენებელ პირებს შორის. **მაინც როგორ ნორმებთან გვაქვს საქმე, რამდენად მისაღებია იგი მეწარმეთათვის, რა მოგებას მოუტანს იგი ქვეყნის ბიუჯეტს?** - აი ის ძირითადი და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც ამ სტატიის განხილვის თემად ვაქციეთ. საგადასახადო კოდექსის ნოვაციური ცვლილებებით ჯერ კიდევ უარია ნათქვამი მკვეთრ საგადასახადო შეღავათებზე, გადასახადების ლიბერალიზაციაზე და სხვა (მხოლოდ მეცნიერ იურისტთა და ეკონომისტთა, ექსპერტთა მოსაზრებები არსებობს ამ ინსტიტუტის ეფექტურად ფუნქციონირების შესახებ), მაგრამ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღებით [1] გარკვეული პროგრესული ნოვაციები შესთავაზა პირებს საქართველოს მთავრობამ, დაბეგვრის რეჟიმების გათვალისწინებით აირჩიონ ალტერნატიული მოსაქმეობის გზა ბიზნესის წამოსაწყებად. მთავრობის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და იქნება ბიზნესის განვითარება, განსაკუთრებით მსხვილ ბიზნესთან ერთად მცირე ბიზნესის გაფართოება, რომლებიც ნაყოფიერი საშუალებაა მცირე შემოსავლიანი პირებისათვის ბიზნესის წამოსაწყებად და ამასთანავე მიიღონ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმიც. აქვე ავღნიშნავდით, რომ მთავრობა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროექტზე მუშაობს და ამ მიზნით ეკონომიკის სამინისტროს დაემატა ახალი სააგენტო, რომელიც ხელისუფლებას მცირე მეწარმეობის განვითარების გეგმას წარუდგენს... მთავრობა მკვეთრი საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას არ აპირებს, მაგრამ აქტიურად მუშაობს დარგის ხელშემწყობ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც ახალი სააგენტოს გახსნა იგეგმება“, რომელიც მომავალი წლიდან ამოქმედდება. ამჟამად კი მცირე მეწარმეები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ და არანაირი შეღავათით არ სარგებლობენ და ამის მთავარ მიზეზად საგადასახადო კოდექს ასახელებენ“.

თუ გადავხედავთ მსოფლიო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ „მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე საწარმოთა განვითარების სამინისტრო, ან მინიმუმ დეპარტამენტი, ხოლო ამერიკაში ასეთ სამინისტროს ცვლის მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, თანაც ეს უწყება არ ექვემდებარება არც ერთ სამინისტროსა თუ უწყებას, ექვემდებარება მხოლოდ პრეზიდენტს“.

მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში „მთანთქოს“ დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამოთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის თუ ვარდნის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დამაბულობა. ამდენად, ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის „ლომის

წილი“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მოდის“[2]. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის კერძო სექტორის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი და მასზე ახალი სამუშაო ადგილების 2/3-დან-მდე მოდის.

2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას.

საინტერესო მოსაზრებებს ავითარებენ ექსპერტები: მცირე ბიზნესის განვითარება, მცირე მეწარმეთა დაფინანსება, მცირე საწარმოთა ცენტრის შექმნა, საინტერესო მოდელის შესწავლა და საქართველოში გადმოტანა, თუნდაც ამერიკული მოდელისა; ამ კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (ვგულისხმობთ ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას) და ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც მხოლოდ ამ ინსტიტუტების მოქნილ სამართლებრივ და ეკონომიკურ რეგულირებას მოახდენდნენ; მცირე საწარმოთა უფასო ადგილობრივი ინვესტირება; მოსახლეობისათვის იმ თანხების დაბრუნება, რომელიც სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა და ეს კარგია, მაგრამ როდის უნდა მოხდეს მისი დაბრუნება? მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და არა შორეულ მომავალში, რამეთუ დაბრუნებული თანხები კარგი ხელშეწყობა იქნებოდა მოსახლეობისათვის, რათა ეს თანხები ისევ მცირე ბიზნესში ჩაედო და რაც საბოლოოდ უზრუნველყოფდა ასეთი ტიპის საწარმოთა გაზრდას, რენტაბელურ მუშაობას და, რაც მთავარია მოსახლეობის ფართოდ დასაქმებას და სხვ. საკამათო არაფერია იმაში, რომ მცირე მეწარმემ უნდა დაასაქმოს მოსახლეობა, დააპუროს ქვეყანა. გამოსავალი, კიდევ ვიმეორებთ, მცირე მეწარმეობი განვითარებისათვის ხელშეწყობაა. მცირე მეწარმეობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ნაშრომებში გამოთქმული მაქვს მოსაზრებები და შეხედულებები ამ დარგის პერსპექტივაში განვითარების შესახებ [3].

**ეკონომისტები თანხმდებიან, რომ სამი მთავარი საკითხი ჭრის ბიზნესის განვითარების ამოცანას: მცირე მეწარმეობის წახალისება, მცირე მეწარმეების სწავლება და მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვაში.** მაგალითად, მცირე ბიზნესს არ აქვს საშუალება დაიქირავოს კარგი ბუღალტერი, იურისტი, მენეჯერი, კვალიფიციური კადრები, რისი საშუალებაც აქვს, თუნდაც, ბანკს. რადგან ეს ყველაფერი დაკავშირებულია თანხებთან, კარგი იქნებოდა მცირე ბიზნესისთვის აღრიცხვა უფრო მარტივი იყოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე საწარმოებისთვის[4].

საინტერესოა განსაზღვრა ცნებებისა „**მცირე**“ და „**საშუალო საწარმო**“. „მცირე და საშუალო საწარმოების“ განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. **საშუალოა საწარმო**, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის

წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს“ [5].

მაინც რა ინსტიტუტია „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“? რატომ შემოვიდა იგი საგადასახადო კოდექსში? უწყობს კი ხელს იგი ქვეყნის მეწარმეობის განვითარებას, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას და სხვა, აი, კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გავცეთ ამ სტატიაში.

**მიკრო ბიზნესი.** საგადასახადო კოდექსის თავი XII და ფინანსთა მინისტრის 2010 წლის #999 ბრძანება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ არეგულირებს, რომელიც მოიცავს მიკრო ბიზნესს, მცირე ბიზნესს და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ პირთა საქმიანობას. კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი ვრცელდება: ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე; ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე; გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე“. ასევე, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს ეხება საგადასახადო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 309-ე მუხლის 24-32 ჩამონათვალი, რომელიც ფიქსირებული საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის და ფინანსთა მინისტრის ბრძანების (#999, 2010 წელი, 31 დეკემბერი საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ) მე-2 მუხლის თანახმად, „მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს“.

**მიგვაჩნია, რომ ძალიან დაბალია და საკანონმდებლო დონეზე უნდა გაიზარდოს პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 30 000 ლარს ზემოთ, ვთქვათ, 100 000 ლარამდე. ეს კი გარკვეული სტიმულის მიმცემი იქნებოდა მიკრობიზნესის სტატუსის გამომყენებელი ფიზიკური პირებისათვის.**

ინსტრუქციის „სპეციალური რეჟიმების გამოყენების შესახებ“ 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, საქონლის/მომსახურების შეძენი პირის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები იბეგრება საერთო წესით“. იგივეს ვკითხულობთ მცირე ბიზნესთან მიმართებაში. აქედან ცხადი და გასაგებია მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ვითარდება ნორმალურად მიკრო ბიზნესი, ან კიდევ მცირე ბიზნესი (ამის შესახებ მოგვიანებით დასკვნით ნაწილში აღვნიშნავთ). ეს კი ცხადია დაინტერესებას უკარგავს მსხვილ ბიზნესს საქონელი და მომსახურე მცირე ბიზნესისაგან შეიძინონ, თუკი მათ საგადასახადო შეღავათი არ ექნებათ. **მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური, თუნდაც**

ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო დონეზე უნდა მიეცეთ საგადასახადო პრეფერენციები მსხვილ ბიზნესს იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისაგან საქონელს ან მომსახურებას შეიძენენ, ამით სხვა თუ არა ორი მთავარი საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, ჯერ ერთი მსხვილი ბიზნესის დაინტერესება მცირე მეწარმეთათაგან მომსახურებისა და საქონლის შეძენისა, თუ მათ ამ კუთხით საგადასახადო პრეფერენცია მიეცემოდათ, და მეორეც მცირე ბიზნესის ბრუნვა გაიზრდებოდა არ არის გამორიცხული, რომ ისინიც დროთა განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტისათვის მსხვილი გადამხდელებიც გამხდარიყვნენ.

ფინანსთა მინისტრის #999 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „თუ სპეციალური დაბეგრვის რეჟიმების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ან/და ამ სტრუქტურაში არ არის გადასახადების ადმინისტრირების სპეციალური ნორმა, გამოიყენება დაბეგრვის სპეციალური წესები“; მე-5 პუნქტი კი განსაზღვრას შემთხვევას, როცა „მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი საქონლის/მომსახურების შეძენი პირის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები იბეგრება საერთო წესით“.

ისევ განვმეორდებით და აღვნიშნავ, რომ მე-5 ნაწილის აღნიშნული დანაწესი ხელს უშლის მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას (იგივე ჩანაწერს ვკუთხულობთ ინსტრუქციაში მცირე ბიზნესის შესახებ), კერძოდ, თუ აღნიშნულ ნორმას მივყვებით, გამოდის, რომ იმ შემთხვევაში, თუ „მსხვილი ბიზნესი“ მიკრო ან მცირე ბიზნესის მწარმოებელი პირებისაგან შეიძენს საქონელს/მომსახურებას, - იგი ამით საგადასახადო შეღავათს ვერ ღებულობს, ანუ მას შეძენაზე/მომსახურებაზე ხარჯი არ გამოეკვითება. ამით კი მისი დაინტერესება იკარგება, რომ ამ პირებისაგან შეიძინოს საქონელი ან/და მომსახურება და ამით საგადასახადო კოდექსის ზემოთ აღნიშნული მე-5 პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდებოდა: „მიკრო ბიზნესის (ვგულისხმობთ მცირე ბიზნესსაც) სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან (მცირე ბიზნესის შემთხვევაში მეწარმე ფიზიკური პირისაგან) შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი საქონლის/მომსახურების შეძენი პირის ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება“.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. ამ სტატუსის მქონე პირები თავისუფლდებიან საკონტროლო სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან. შევნიშნავდით, რომ საგადასახადო კოდექსში არაა გაწერილი, დაკონკრეტებული, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოონ ბუღალტერია მიკრო მეწარმეებმა, ანუ საუბარია შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის წესებზე, - რის მიხედვით უნდა აწარმოონ მათ აღრიცხვა – ეს წესები კი საგადასახადო კოდექსში არ წერია. მითითებულია, რომ ფინანსთა მინისტრმა უნდა განსაზღვროს ეს საკითხი და სხვ.

ისევ რომ დავუბრუნდეთ მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემას, მოკლე სტატისტიკას მოვიტანთ: „ევროკავშირში მცირე მეწარმის სტატუსი არის წლიური ბრუნვა 10 მილიონ ევრომდე, საშუალო მეწარმის 50 მილიონ ევრომდე, ჩვენთან მცირე მეწარმის სტატუსი ევროპულ სტანდარტზე 50-ჯერ დაბალია!, ხოლო საშუალო მეწარმის კი - 83-ჯერ ნაკლები. ცხადია, ევროსტანდარტების დონეზე ჩვენ არ ვსაუბრობთ, მაგრამ არც ასეთი დიდი განსხვავება არ უნდა არსებობდეს ალბათ“ [6]. კანონმდებლობის მიღებას და მასში ცვლილებების შეტანას უდიდესი სიფრთხილით უნდა მიუდგეს კანონმდებელი და, ცხადია საგადასახადო კანონმდებლობის გამომყენებლებიც. სადავო რომ არ გახდეს ჩემი მოსაზრება ამ კუთხით, საეჭვო არ უნდა იყოს ფაქტი იმის შესახებ, რომ არასწორად მიღებულმა, ბიზნესის განვითარებაზე არაორიენტირებულმა საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეაფერხოს, რაც ცალსახად ასობით ადამიანის უმუშევრად დატოვების მიზეზი გახდეს. გენიალური გამონათქვამი აქვს გენიალურ გოეთეს: „ყველაზე დიდი უბედურება არის ამოქმედებული უმეცრება“.

„მიკრო ბიზნესის სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირს მიენიჭება და არა იურიდიულს. ამასთანავე, სხვა გადასახადის გადამხდელებს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისაგან შესყიდული პროდუქტის თუ მომსახურების ღირებულების ხარჯში გატარება ეკრძალებათ, თუნდაც ეს დოკუმენტურად იყოს გაფორმებული.... მდგომარეობა უფრო უარესობისაკენ შეიცვლება, ვიდრე დადებითისაკენ, იგი ვერც ერთ იურიდიულ პირთან . ურთიერთობას ვერ დაამყარებს, რადგან ყველა მეწარმეს ეკრძალება მიკრობიზნესისაგან ნაყიდი პროდუქციის ხარჯებში გატარება. შესაბამისად მეწარმეებს არ ექნებათ სურვილი, რომ მიკრო ბიზნესთან რაიმე სახის ბიზნესურთიერთობა აწარმოონ) - ამის შემდეგ რა სტიმული უნდა გააჩნდეს მეწარმეს, რომ მიკრობიზნესმენად დარეგისტრირდეს? მაშინ, როცა მისთვის მოულოდნელად შესაძლოა საგადასახადო ორგანომ გამოუცხადოს, რომ წლიურ 30 000 ლარიან ბრუნვას გადასცდა, როდესაც მეორე მხარის მხრიდან სამართლიანობის მომენტი ნაკლებადაა დაცული. ამასთან, კოდექსში არის ორმაგი ინტერპრეტაციის მუხლები, რომელთა გამო დაჯარიმებული მეწარმე არაა დაზღვეული, რომ დავების საბჭო მის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს, რაც თავის მხრივ, აზრს უკარგავს იგივე გამარტივებულ ადმინისტრირებას“.

საგადასახადო კოდექსში არის მთელი რიგი დებულებები ისეთი სახის, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის გამსხვილებას და არა მცირე მეწარმეობის წახალისებას. მაგალითად, იგივე ძალიან გაპიარებული მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირები პრაქტიკულად არიან გარიყულები, იმიტომ, რომ მსხვილი ფირმები მათგან შეძენილ საქონელსა თუ მომსახურებას გაწეული დანახარჯებით მოგების გადასახადს ვერ ამცირებენ. აქედან გამომდინარე, შედარებით მსხვილ ფირმებს არანაირი სურვილი არ აქვთ, რომ მიკრობიზნესის მწარმოებელი პირებისაგან რაიმე იყიდონ. შესაბამისად, მიკრო ბიზნესს ბაზარი უმცირდება. მეორეც საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თუ პირს ქვეყნის შიდა ბრუნვაზე 1 წელიწადში აქვს გადახდილი 200 ათას ლარზე მეტი

დღგ-ს ჩათვლით, მაშინ იმპორტისას ის დღგ-ს აღარ გადაიხდის. თითქოს ეს კარგი ფორმაა, მაგრამ შევხედოთ ამას მცირე მეწარმეობის თვალსაზრისით, მცირე მეწარმეს 200 ათას ლარზე ნაკლები აქვს წლიური ბრუნვა და ის შესაბამისად საბაჟოზე გადასახადისაგან არ თავისუფლდება. კოდექსის მიხედვით, პირი, ვინც შეღავათი მიიღო იმპორტის დროს, სინამდვილეში ის ამ თანხას მაინც იხდის შიდა ბრუნვიდან გამომდინარე, უბრალოდ საბაჟოზე ნაღდი ფულის გადახდის ვალდებულება ეხსნება, ანუ მას იქ „ქეში“ ნაკლებად სჭირდება განსხვავებით მცირე მეწარმისაგან, რომელთაც „ქეშის“ გაჭირვება აქვთ. აქედან გამომდინარე, ისინი იღებენ მეტ უპირატესობას მცირე ფირმებთან შედარებით. მესამე უპირატესობა მსხვილი ფირმების გამომდინარეობს იქედანაც, რომ მათ ბანკებიდან სესხის აღების შესაძლებლობა მეტი აქვთ. ოფიციალური სტატისტიკით თუ მარტო 2000 წელს წვრილი საწარმოების წილი იყო 1/3 გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში და დანარჩენი 2/3 მოდიოდა საშუალო და მხვილ ბიზნესზე, დღევანდელი მდგომარეობით მარტო მსხვილი საწარმოების წილი არის 85 პროცენტი, საშუალოს ფირმებისა – დაახლოებით 7-8 პროცენტი და წვრილი საწარმოების წილიც არის 7-8 პროცენტი, ანუ ახლა საჭიროა რადიკალური ზომების მიღება.....“{8} აქ მხედველობაში სტატიის ავტორს აქვს გადასახადების განაკვეთების შემცირება, რამეთუ `ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მთავარი არის გადასახადის გადამხდელი“).

თუ გადავხედავთ მსოფლიო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ „მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე საწარმოთა განვითარების სამინისტრო, ან მინიმუმ დეპარტამენტი, ხოლო ამერიკაში ასეთ სამინისტროს ცვლის მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, რომლის ხელმძღვანელს თავად პრეზიდენტი ნიშნავს და კონგრესი ამტკიცებს, თანაც ეს უწყება არ ექვემდებარება არც ერთ სამინისტროსა თუ უწყებას, ექვემდებარება მხოლოდ პრეზიდენტს.

**მცირე ბიზნესი.** საგადასახადო კოდექსის 88-956-ე და მთავრობის # #999 ბრძანების თავი III „მცირე ბიზნესი“ მე-11 მუხლის ნ.2-ის თანახმად, „მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს“. ხოლო, მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კი: „მცირე ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი და იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე“. მიგვაჩნია, რომ ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანების მე-11 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების დეფინიცია ერთი და იმავე ინსტიტუტის განმარტებას იძლევა, მცირედი განსხვავებით, ფაქტიურად ორაზროვანს ხდის მცირე ბიზნესის განმარტებას და ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თუ ორივე ნაწილი გაერთიანდებოდა და შემდეგ სახეს მიიღებდა: „მცირე ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე და რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 50 000 ლარს“. ინსტიტუტის არსში უკეთ გასარკვევად მოვიყვანთ მაგალითს. მ ა გ ა ლ



ი თ ი: 1. პირობა: ა. ა-ძე არის მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ინდივიდუალურად ეწევა „ვაჭრობას“. ა. ა-ძის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ვაჭრობის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი იქნება 400 000 ლარი. ან ა ლ ი ზ ი: იქედან გამომდინარე, რომ ა. ა-ძეს ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 500 000 ლარს, ა. ა-ძე აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ მიკრო ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი. შ ე დ ე გ ი : ა. ა-ძეს მოთხოვნის შემთხვევაში მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი. მაგრამ შესაბამისი ბრძანების მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, კერძოდ, „მცირე ბიზნესისათვის `მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის აკრძალული საქმიანობებისა და საქმიანობებისა და შემოსავლების სახეების განსაზღვრის თაობაზე, რომლებიც არ დაიბეგრება ან/და რომლებზეც არ გავრცელდება საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“ საქართველოს მთავრობის 29 დეკემბრის # 415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი # 5-ით 7 განსაზღვრული შემოსავლები: ა) მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა, მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500 000 ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება; ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგროდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს (საქართველოს მთავრობის # 415 დადგენილებით `სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ`-დანართი 4-ში ჩამოთვლილია აკრძალული საქმიანობები, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება. ეს საქმიანობებია: საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება). სავალუტო ოპერაციების განხორციელება. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა. სათამაშო ბიზნესი და სხვ.

საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებით, კერძოდ, ნაცვლად ადრე არსებულისა, დღეს, 90-ე მუხლის მიხედვით, მცირე ბიზნესის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 %-ით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 3%-ით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსი მქონე პირის ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა

(ადრე არსებული დაბეგვრის 3/5-პროცენტის დაბეგვრის სისტემისა, როცა მცირე ბიზნესის შემოსავალი სულ რაღაც 10 000 ლარის ზღვრებში მერყეობდა). მცირე ბიზნესისათვის დასაბეგრი შემოსავლის გაზრდა და დაბეგვრის პროცენტის შემცირება უთუოდ სასიკეთოდ წაადგება მის გამოყენებელ პირებს და ბუნებრივია იმ პირთა დაინტერესებაც გაიზრდება, ვინც ამ რეჟიმის გამოყენებით შეეცდება თავისი ბიზნესის წამოწყებას.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის („დაბეგვრის ობიექტი“) მიხედვით, ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანების 13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით; იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მცირე ბიზნესი ვალდებულია აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი, ფინანსთა მინისტრის #999 ბრძანების „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ფორმისა და წარმოების წესის შესახებ“ (ინსტრუქციის დანართი #3 შესაბამისად). საერთოდ, გადასახადის გადამხდელი ბუღალტრული აღრიცხვისათვის შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან, ხოლო ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდებას შემდეგ. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიუხედავად.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად და დადგენილ ვადაში, თუკი სხვა რაიმე საფუძვლით იგი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე არ დამდგარა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დღგ-ის გადამხდელად საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის დღიდან (მათ შორის პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას, საგადასახადო ორგანოს მიერ პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში პირის დღგ-ის გადამხდელად მიჩნევის მომენტიდან) ავტომატურად უქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი და პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისათვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელზეც უფლება

აქვს ჩაითვალოს დღე დადგენილი წესის შესაბამისად, თუ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტი. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმების შემთხვევაში უფლება აქვს ამ მომენტისათვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს შესაბამის დოკუმენტში და მომავალში საქონელი საგადასახადო ჩაითვლება აღრიცხულად.

**საგადასახადო კონტროლი.** საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლი მცირე და მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლს ეხება, ხოლო, ინსტრუქციის მე-20 მუხლი კი მხოლოდ მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლს. შევნიშნავდით, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად ჩამოყალიბდებოდა ინსტრუქციის მე-20 მუხლი, ან სულაც, აღნიშნული ნორმატიული აქტებით ცალ-ცალკე გამოყოფილიყო მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი და ასეთი სათაურით მოთავსებულიყო იგი მიკრო ბიზნესის მარეგულირებელ ნორმებში; ხოლო მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი განთავსებულიყო ორივე ნორმატიულ აქტში ასეთივე სახელწოდებით. რადგან, ორივე ინსტიტუტს მსგავსი საგადასახადო კონტროლის მექანიზმები გააჩნია, მაშინ საგადასახადო კოდექსის მ.95-ს მიხედვით ყოფილიყო დასათაურებული ინსტრუქციის მე-20ე მუხლიც. ვფიქრობთ, რომ ეს ხარვეზია და უნდა გასწორდეს.

მიმაჩნია, რომ მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლის მექანიზმები ისეთივეა, როგორც მიკრო ბიზნესის შემთხვევაში და ამ მექანიზმებზე ჩვენ განვრცობილად გვექონდა საუბარი მიკრო ბიზნესის ინსტიტუტის ანალიზისას, აქ, ამ შემთხვევაში შემოვიფარგლებით კიდევ ერთხელ მხოლოდ კონტროლის შემდეგი ღონისძიებებს ჩამოთვლაზე და ესენია: საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა; დათვალიერება; საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა; ქრონომეტრაჟი; ინვენტარიზაცია.

**ფიქსირებული გადასახადი.** ფიქსირებული გადასახადი ნოვაციას საგადასახადო კანონმდებლობაში, ისევე, როგორც სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმები (მიკრო და მცირე ბიზნესი). როგორ პირს შეიძლება მიენიჭოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი? საგადასახადო კოდექსის 951-ე მუხლის თანახმად, „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას“. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანების (დანართი #4), 1-ლ მუხლის თანახმად, „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ ოპერაციას“. როგორც ზემოაღნიშნული განმარტებებიდან ირკვევა, პირველი ორივე განმარტება იდენტურია ერთმანეთისა, რაც სამწუხაროდ სხვა შემთხვევებში არ გვხვდება. როგორც ნორმათა დეფინიციიდან ირკვევა, კანონმდებლობა არ იძლევა „ფიქსირებული გადასახადის“ ცნების

დეფინიციას, გვაძლევს მხოლოდ რეგლამენტირებას იმისა, თუ ვინ შეიძლება იყოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირები და ვის შეიძლება მიენიჭოს ეს სტატუსი და როგორც ორივე განმარტებიდან აშკარად იკვეთება, ამ გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და ასევე პირთა გაერთიანებაც და აქვე ავლნიშნავდით, რომ ეს ინსტიტუტი მოცემულია საგადასახადო კოდექსის XII თავში სათაურით „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“ და არა „მოგების გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებში“.

**მინც რა საქმიანობის განხორციელების უფლება გააჩნია ამ სტატუსის მქონე პირს?** ეს საქმიანობა შეიძლება იყოს: სილამაზის სალონებში მომსახურება, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, თონეები, ტანსაცმლის კერვა და სხვა. აქვე ავლნიშნავდით, რომ 952 -ე მუხლში მოცემული განმარტება, რომ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეებს საგადასახადო კოდექსის 953 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობის შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის ობიექტს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, - **შევნიშნავთ, რომ ჯერჯერობით საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული არ არის ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეების და საშემოსავლო განაკვეთების მიხედვით მათი კლასიფიკაციის დამდგენი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.** ვიდრე ფიქსირებული გადასახადის განაკვეთებს შევეხებოდეთ, გავცეთ კითხვას პასუხი: **როგორ ხდება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება?** ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებას არეგულირებს საგადასახადო კოდექსის მ. 953 და „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანება (დანართი #4), რომლის თანახმად, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქმიანობის ის სახე, რომელზეც გავრცელდება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი (მაგ; სალონი). პირს უფლება აქვს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე საანგარიშო წლის ნებისმიერ თვეს. ამასთანავე პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონედ და შესაბამისად ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. თუ პირი აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია შეასრულოს დღგის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი დამატებით ახორციელებს სხვა სახის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასთან ერთად განცხადებით მოთხოვნილ იქნა მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და პირს უარი ეთქვა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებას არ ექვემდებარება. **გამოდის რა?, რომ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანების (დანართი #4) შესაბამისი დებულება (ნორმა) ხარვეზიანია, და აღმოფხვრას საჭიროებს[9].**

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს – ა) დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში (ამ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის განაკვეთს საქმიანობის სახეების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა „ა“ ქვეკუთხედიტ დადგენილი ოდენობის ფარგლებში); ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი. აღნიშნული მუხლიდან ირკვევა, რომ ფიქსირებული გადასახადი ბოლომდე ფიქსირებული ვერ არის, რამეთუ მისი გადახდა დამოკიდებულია დაბეგვრის ობიექტებზეც და დასაბეგრ საქმიანობის სახეებზე. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი პირი უფლებამოსილია გარდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობისა, დამატებით საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული საქმიანობაც განხორციელოს, რომელიც დაექვემდებარება საერთო წესით დაბეგვრას. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი მიმდინარე გადასახდელებს ფიქსირებული გადასახადის მიხედვით არ იხდის.

ფიქსირებული გადასახადის სტატუსი უუქმდება შემდეგ შემთხვევებში: ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას; ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით; გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისათვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას; დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში.

## დასკვნები

დასკვნის სახით ავლნიშნავდით, რომ მცირე მეწარმეობა, ზოგადად კი ბიზნესის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს და ბუნებრივია ხელის უნდა შეეწყოს მას მთავრობის მხრიდან. კერძოდ, სესხებზე მათი ხელმიწვდომობა შეუფერხებელი უნდა იყოს; მათთვის ხელის შეწყობამ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი უნდა გაზარდოს ბრუნვის მიხედვით, რომელიც დღეს 20 %-ზე ნაკლებია, როცა სხვა ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით დიდია; სახელმწიფომ საბანკო სექტორსა და მეწარმეებს შორის შუამავლის ფუნქცია უნდა იკისროს, რამეთუ საბანკო სექტორი ობიექტურად ვერ იქნება სოციალურ შედეგებზე ორიენტირებული; სახელმწიფომ შესაბამისი პირობები უნდა შექმნას იმისათვის, რომ სამეწარმე საქმიანობა მნიშვნელოვან რისკებს არ შეიცავდეს; უნდა აღდგეს მცირე მეწარმეობი ხელშეწყობის და განვითარების ფონდი, გაიხსნას მისი ფილიალები ადგილებზე, შეიქმნას მათი ხელშეწყობის ფონდები და რაც მთავარია საკანონმდებლო ბაზა შემუშავდეს, რომელიც მობილურს, რენტაბელურს, ხელმისაწვდომს გახდის მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისა და განვითარებას; დაიხვეწოს და საგადასახადო კანონმდებლობიდან `გაქრეს` ორაზროვანი, ორმაგად წაკითვადი მუხლები. ერთი სიტყვით უნდა შეიქმნას საგადასახადო კოდექსის ჰუმანური მუხლები, სადაც კომფორტულად მოეწყობა გადასახადის გადამხდელი და საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის ბიუჯეტსაც და მეწარმეთ.

დღეს, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, როდესაც ქვეყანას ძალიან სჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქცია და მომსახურება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესი და მისი განვითარება. მცირე ბიზნესი არის საშუალება იმისა, რომ ადამიანები დასაქმდნენ და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო შემწეობაზე, სახელმწიფო დახმარებაზე. ღოდესაც ხალხს ექნება საკუთარი შემოსავალი, სახელმწიფოც მოიხსნის სოციალურ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

მცირე ბიზნესის წასახალისებლად საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა, მათთვის მეტი ხელმისაწვდომობა უნდა იყოს სესხების სახელმწიფო პროგრამებში. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის უნდა არსებობდეს პროგრამები, სადაც ისინი შეძლებენ დაბალპროცენტიანი სესხების მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა დაბალია.

სულ უფრო ხდება პოლარიზება მსხვილ ბიზნესსა და მცირე ბიზნეს შორის, რადგან თუნდაც საბანკო სექტორში საპროცენტო განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის, რომელთაც პატარა მოცულობის სესხი ესაჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი კომპანიებისათვის.

კიდევ ერთი გზა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის არის სახელმწიფო შესყიდვების პროგრამებში მათთვის პრიორიტეტის მინიჭება. მცირე ბიზნესს არ სჭირდება ფულის გამოყოფა, მას სჭირდება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც არ დაჩაგრავენ, სადაც საგადასახადო სამსახური ჩასაფრებულის პოლიტიკას არ გაბახორციელებს, სადაც ბანკები შედარებით ლოიალურნი არიან..... პირველი, სადაც შეიძლება განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი, ეს არის სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, საოჯახო ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა.

მცირე ბიზნესი საკმაოდ მომგებიანი სექტორია და ამან შეიძლება დიდი მოგება მოუტანოს ადამიანს. ბიზნესის ხელშეწყობის ვარიანტებიკი რამდენიმე ფაქტორისაგან შედგება. პირველი ესაა, ადმინისტრაციული ბარიერების არარსებობა, რომლის პრობლემაც საქართველოში არ არსებობს. დღეისათვის მცირე ბიზნესის დარეგისტრირება მოკლე დროში შეიძლება და პრობლემას არ წარმოადგენს და ა.შ.

სამწუხაროდ მცირე ბიზნესის შემაფერხებელი ფაქტორები ისევე „მუშაობს“, კერძოდ, მცირე ბიზნესს არ აქვს საშუალება დაიქირავოს კარგი ბუღალტერი, იურისტი, მენეჯერი, კვალიფიციური კადრები, რისის საშუალებას აქვს მსხვილ ბიზნესს, რადგან ყველაფერი ეს გარკვეული თანხების ქონასთანაა დაკავშირებული. ასევე, კარგი იქნებოდა მცირე ბიზნესისათვის აღრიცხვა უფრო გამარტივებული იყოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე საწარმოებისათვის და ა.შ.

მიმაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს მიკრო ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი, თუნდაც 100 000 ლარამდე, რათა გაიზარდოს იმ ფიზიკურ პირთა დაინტერესება, რომლებიც ამ საქმით დაკავდებიან და უზრუნველყოფენ თინდაც საკუთარი თავისა და ოჯახის დაკმაყოფილებას გლობალური უმუშევრობის პირობებში.

### ლიტერატურა:

1. საგადასახადო კოდექსის 83-ე-956 მუხლების თანახმად სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით მომუშავე პირები კვარტალურად იხდიან გადასახადებს გარდა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისა, რომლებიც გადასახადების გადახდისაგან თავისუფლდებიან.
2. ხარაზი ია, საგასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020, 332; გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2014 წლის 19 მაისი, ინტერვიუ `თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თანმჯდომარესთან ა. საკანდელიძესთან.
3. ხარაზი ია, საგასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020. ოთარ გოგიაშვილი, „მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში“, დისერტაცია, 2013.

4. <http://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/187/id/330/print/true>  
[4/4](#)
5. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის; [http://gov.ge-/files/439\\_54422\\_706524\\_100-1.pdf](http://gov.ge-/files/439_54422_706524_100-1.pdf), 12
6. სტატისტიკა აღებულია გაზეთიდან „ბანკები და ფინანსები“, 2014, 19 მაისი, 10
7. ოთარ გოგიაშვილი, „მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში“, დისერტაცია, 2013, 28.
8. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012, #2(33), 93-104.
9. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020, 389.

#### ნორმატიული აქტები:

10. საქართველოს საგადასახადო კოდექსი,  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
11. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #415 დადგენილება „მიკრო და მცირე ბიზნესის მქონე პირებისათვის აკრძალული საქმიანობებისა და საქმიანობებისა და შემოსავლების სახეების, რომლებიც არ დაიბეგრება ან/და, რომლებზეც არ გავრცელდება საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები, განსაზღვრის შესახებ“,  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1164635>
12. ფინანსთა მინისტრის # 999 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1167887>
13. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #999 ბრძანება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“,  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4248354?publication=0>